პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 ივნისი, ხამშაბათი, 1989 წ.
№ 122 (10 041) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჯაჭვის განწყვეტილი რგოლები

ПРАВДА

არაერთხელ წაგვიკითხავს და მოგვისმენია პედაგოგთა ჩივილი იმის გამო, რომ ბავშვები სკოლაში ფიზიკურად მოუმზადებლები შედიან. როგორც სტატისტიკა მოწმობს, მოსწავლეთა ნახევარზე მეტი ნევროზულია, ორ მესამედზე მეტი — ალერგიული, 60 პროცენტს აღნაგობის დარღვევა აქვს, მოსწავლეთა 80 პროცენტს აწუხებს ზედა სასუნთქი გზების დაავადება. როგორ არ შემოვკრათ ამ დროს განგაშის ზარი!

ამ და სხვა დაავადებებისაგან ბავშვების ხსნის კეთილშობილ საქმეს ხელი მოჰკიდა ახლახან თბილისში სკოლამდელთათვის შექმნილმა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელმა კოოპერატივმა „მართვემ".

კოოპერატივს სათავეში უდგას სპორტის ოსტატი ლიუბოვ გორბაჩოვა. გარდა ფიზკულტურული მეცადინეობებისა, „მართვე" სპეციალისტთა დახმარებით აწყობს მასობრივ ღონისძიებებს — „მხიარულ სტარტებს", „მუსიკალურ შოუს", „სპორტლანდიას" და ა. შ. მეცადინეობები ტარდება მოწინავე პედაგოგიური გამოცდილებისა და მეთოდიკის გათვალისწინებით. გადასახადი თვეში 5 მანეთია. მრავალშვილიანი ოჯახების შვილებისა და ოჯახებისათვის მეცადინეობა უფასოა.

ადრეული ფიზაღზრდის იდეას წინ უძღოდა სხვა — ერთი წლის წინანდელი ამბავი — მისაღებ გამოცდებამდე ორი თვით ადრე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში პირველად შემოიღეს ჩათვლა ფიზკულტურაში, რომელიც ყველა აბიტურიენტისთვის სავალდებულო იყო. არა, მას, ვინც ნორმატივებს ვერ ჩააბარებდა, მაინც ეძლეოდა გამოცდებზე გასვლის უფლება, მაგრამ დაგროვილი ქულების თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა ფიზიკურად უკეთ მომზადებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ეძლეოდათ. აბიტურიენტებს სთავაზობდნენ ხუთ სპორტულ ნორმატივს, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ჩამბარებელთა სქესი და ასაკი. მათგან აბიტურიენტებს სურვილისამებრ სამი ნორმატივი უნდა ამოერჩიათ. ჩათვლა, ფაქტობრივად სკოლაში ფიზკულტურის სწავლების დონისა და მის მიმართ როგორც მოსწავლეთა, ისე ადმინისტრაციის დამოკიდებულების თავისებური შემოწმება იყო. ეს დონე, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ჯერ კიდევ შორს დგას სასურველისაგან.

საქართველოს სპორტსახკომის და გაზეთ „ლელოს" მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ ცხადყო რესპუბლიკაში ფიზიკური აღზრდის სისტემის უაღრესად დაბალი ეფექტურობა. სკოლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვისას 60 პროცენტზე მეტმა აღნიშნა, რომ ფიზკულტურის მასწავლებლების 31 პროცენტი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, 48 პროცენტი კი — ფორმალურად. ასეთ პირობებში, ცხადია, ფიზკულტურაში ჩათვლის შემოღება ბევრს არ ესიამოვნა, რადგან ამან დაარღვია მათი მშვიდი, ზომიერი ცხოვრება. მაგრამ განა შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც ჰავა სპორტში მთელი წლის მანძილზე მეცადინეობის საშუალებას იძლევა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სპეციალურ სამედიცინო ჯგუფში გაერთიანებულ მოსწავლეთა რიცხვი სულ უფრო იზრდება? ან ის, რომ რესპუბლიკის ხუთ წამყვან უმაღლეს სასწავლებელში გამოკითხულ სტუდენტთა 18 პროცენტიდან ფიზკულტურაში სისტემატურად მეცადინეობს პირველკურსელთა მხოლოდ 62 პროცენტი?

ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ახალგაზრდა ადამიანის აღზრდის პროცესში, პიროვნებად და მოქალაქედ მის ჩამოყალიბებაში, ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ საკმარისად ფიზკულტურისა და სპორტის შესაძლებლობებს, მოზარდი თაობის სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის.

სახალხო განათლების სამინისტროს ინიციატივით ამ დისციპლინაში გამოცდები შემოღებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სამი უფროსი კლასის მოსწავლეებისთვისაც. მაგრამ შორს მიმავალი გეგმების არსი ის არის, რომ შეიქმნას ფიზიკური აღზრდის განუწყვეტელი, ერთიანი ჯაჭვი, დაწყებული საბავშვო ბაღიდან. თუმცა, საკითხი ასე მარტივი როდია. საბავშვო ბაღის საშტატო განრიგში ფიზკულტურის ინსტრუქტორი არ არის შეტანილი. გამოდის, რომ რესპუბლიკის სპორტსახკომი ვერავის მოჰკითხავს. ასეთ სპეციალისტებს საბავშვო ბაღებისთვის არავინ ამზადებს, ხოლო როცა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში ექსპერიმენტის სახით გამოუშვეს 15 სპორტის პედაგოგი პატარებთან მეცადინეობების ჩასატარებლად, მათი სამუშაოდ მოწყობა შეუძლებელი შეიქნა და იძულებული გავხდით ამ იდეაზე უარი გვეთქვა.

ახლა კოოპერატივი დაკავებულია თავის მრავალრიცხოვან ოპონენტებთან კამათით, უნდა არსებობდეს „მართვე" თუ არა. ჩვენი აზრით, ჭეშმარიტება ის არის, რომ ფიზკულტურა საბავშვო ბაღებში საჭიროა, თუმცა ამ საკითხზე „ოფიციალური მითითება", შესაბამისი ინსტრუქცია ვერ გვიპოვია. მაგრამ იმედი გვაქვს, არავინ დაიწყებს კამათს იმაზე, რომ ბავშვების ჯანმრთელობა ნებისმიერ ცირკულარზე უფრო მნიშვნელოვანია.

თ. ბაჩიჩილაძე,
გაზეთ „ლელოს" რედაქტორი,
ე. ბოჟორიშვილი,
„ლელოს" თანამშრომელი

თბილისი.

„პრავდა", 26 ივნისი.

●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●

საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები

მოფარიკავეთა მეორე საპრიზო ადგილი

დონეცკი. გრძელდება ახალგაზრდული საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოფარიკავეთა ტურნირი. ოთხი სახეობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: რუსეთის ფედერაცია — 243 ქულა, უკრაინა — 141, მოსკოვი — 123, საქართველო — 120, სომხეთი — 104.

საქართველოს ხმლით მოფარიკავეთა ნაკრებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციის სპორტსმენთა შემდეგ. მესამე ადგილი ამ სახეობაში წილად ხვდა მოსკოვის გუნდს.

ვოროშილოვგრადი. ცხენოსნებმა შეჯიბრება დაამთავრეს ორ სახეობაში, გუნდურ პირველობაში დიდ პრიზზე ჩვენი რესპუბლიკის მხედრები XI ადგილზე აღმოჩნდნენ. შედარებით უკეთ გამოვიდნენ ჩვენები საშუალო პრიზის (№1) გათამაშებაში. საქართველოს გუნდმა აქ VII ადგილი დაიკავა.

დასასრულს უახლოვდება მოცურავეთა ტურნირი. კომბინირებულ ესტაფეტაში 4X100 მეტრზე გოგონათა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს X ადგილი ხვდათ. ასეთივე შედეგი აჩვენეს მათმა თანაგუნდელმა ჭაბუკებმა თავისუფალი სტილით ესტაფეტაში 4X100 მ.

IV ახალგაზრდულ საკავშირო სპორტულ თამაშებში საქართველოს დელეგაციის წარმატებათა ანგარიში გახსნა სამბისტთა ტურნირში გამარჯვებულმა გურამ ქარჩაიძემ (90 კგ. წონითი კატეგორია).

საკავშირო ახალგაზრდული თამაშები თანდათან უმატებს სისწრაფეს. რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის საერთო ყულაბაში უკვე ოთხი მედალია, ორი — ოქროსი, თითო — ვერცხლისა და ბრინჯაოსი.

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

ავტოგადარბენა თბილისს ეწვია

სსრ კავშირის სოციალურ გამოგონებათა ფონდი და იტალიური ფირმა „იმაგო" ინიციატორები არიან საერთაშორისო ავტოგადარბენისა, რომლის დევიზია „მსოფლიოში განახლებისთვის". გადარბენის მარშრუტი, რომელმაც 30 მაისს სტარტი აიღო რომში, გაივლის დასავლეთ ევროპის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიებზე.

კვირას, საღამოს ავტოგადარბენის მონაწილენი თბილისში ჩამოვიდნენ. ისინი ორ დღეს დაჰყოფენ ჩვენს რესპუბლიკაში და ამ ხნის განმავლობაში გადაწყვეტილი აქვთ რიგი კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

ავტოგადარბენა ჩაფიქრებულია როგორც სოციოლოგიური და პოლიტიკური აქცია, რომლის დროსაც მოხდება შეხვედრები სხვადასხვა ადამიანებთან: ნოვატორებთან, რელიგიური, ახალგაზრდული, ეკოლოგიური, არაფორმალური საზოგადოებრივი მოძრაობების წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრების დროს შემუშავებული იდეები და წინადადებები ჩაიდება კომპიუტერში, დამუშავდება და შეადგენს „იდეების ბანკს", რომელიც გარკვეულწილად შეუწყობს ხელს სხვადასხვა კონტინენტების, ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

კლასიკურ ჭიდაობაში — კობა გულიაშვილს (თბილისი, შეიარაღებული ძალები).

ჩოგბურთში — ვლადიმერ გაბრიჩიძეს, დავით კაჭარავას (ორივე — თბილისი, „დინამო").

●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●

ევროპის ჩემპიონი 12 წლის შემდეგ

ზაგრები. კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე სეულის ოლიმპიადის ჩემპიონს, სსრ კავშირის ნაკრებს მხოლოდ ბრინჯაოს მედლები ხვდა. საბერძნეთის გუნდთან მარცხის შემდეგ იგი იტალიელებს შეხვდა და გაიმარჯვა — 104:76 (47:31).

ოქროს მედლები და კონტინენტის ჩემპიონის სახელი იუგოსლავიის ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში ადვილად მოუგო საბერძნეთს — 98:77 (54:35). ჩემპიონატის მასპინძლებმა ოქროს მედლები მეოთხედ მოიპოვეს. უკანასკნელად ევროპის პირველობაზე მათ თორმეტი წლის წინ გაიმარჯვეს.

მეხუთე ადგილი, რომელიც ასევე იძლევა მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს, ესპანელებს ხვდათ, რომლებმაც პრინციპულ ბრძოლაში ფრანგებს აჯობეს — 95:87 (45:40).

შაბათს რაგბის დღე იყო — თბილისის „ელმავალმა" უმასპინძლა მოსკოვის „ლოკომოტივს" (გთავაზობთ ამ მატჩის ერთ ეპიზოდს — უტევს თბილისელთა მოთამაშე გია გოგსაძე), ქუთაისის „აიამ" — მოსკოვის „ფილის". ორივე მატჩი ქართველ მორაგბეთა გამარჯვებით დასრულდა (იხ. მე-8 გვ.).

რეპლიკა

ამბიცია თუ...

ამჯერად ჩვენი გამოსვლა განაპირობა ერთმა უცნაურმა ტელეფონის ზარმა, რომელსაც საკმაოდ უსაფუძვლო პრეტენზია მოჰყვა.

— ვინ მოგცათ აბიტურიენტ სპორტსმენთა „თქვენეული" სიის გამოქვეყნების უფლება? — გვისაყვედურა საქართველოს მინისტრთა საბჭოს სპორტისა და ტურიზმის განყოფილების უფროსმა რეფერენტმა ა. მჭედლიშვილმა, — მაშინ, როცა არის სხვა სია იმ სპორტსმენებისა, რომლებიც მალე ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე წარსდგებიან.

მართალი გითხრათ, დღეს, როცა ჟურნალისტების მიმართ მომთხოვნელობა ასე მკაცრია და მთავრობა მალე საგანგებო კანონსაც მიიღებს პრესის შესახებ (პროექტი უკვე გამოქვეყნდა კიდეც), ასეთი „თვითნებობის" უფლებას არავინ მისცემს თავის თავს და არც ჩვენ მიგვიცია. მით უფრო, რომ, როგორც „ლელოს" 15 ივნისის ნომერშია ნათქვამი (სპორტსმენთა სია სწორედ ამ ნომერში გამოქვეყნდა), სპორტი დღეს ერის საუკეთესო თვისებების მსოფლიოს ხალხებისათვის გაცნობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად იქცა. ჩვენ ყოველ გაზაფხულზე ვაცნობთ მკითხველებს იმ ახალგაზრდა სპორტსმენებს, ვინც თამამად ადგება უფროსი თაობის გაკვალულ გზას, ვინც უნდა იტვირთოს ქართული სპორტის ტრადიციების გაღრმავება-განმტკიცების ძნელი საქმე.

ეს მეტად მნიშვნელოვანი მისია ღირსეულთა წილხვედრი უნდა იყოს და ამ ღირსებებში მათი განათლებაც იგულისხმება. ამიტომ საქართველოს სპორტსახკომი რეკომენდაციას უწევს პერსპექტიულ ახალგაზრდა სპორტსმენებს, რომლებიც რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში აბარებენ მისაღებ გამოცდებს, [illegible] პრაქტიკული ნაბიჯი უნდა გადაიდგას სტუდენტთა სპორტის აღმავლობისაკენ. როცა საქმე ეხება ესოდენ საპასუხისმგებლო საკითხს, განა შეიძლება ვინმეს აეჭვებდეს რესპუბლიკის სპორტსახკომის, მისი აპარატის კომპეტენტურობა? ჩვენც სწორედ მათ დავეყრდენით და გამოვაქვეყნეთ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა სია, რომელიც საქართველოს სპორტსახკომმა შემოგვთავაზა.

მას კვალდაკვალ მოჰყვა მეორე, კერძოდ, დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სია, რომელსაც წამძღვარებული აქვს მიმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისადმი კომიტეტის თავმჯდომარის ხელმოწერით. დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი მინისტრთა საბჭოს წარუდგენს სამხედრო-გამოყენებით სახეობებში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების იმ წევრთა 74-კაციან სიას, რომლებიც წელს შედიან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და სთხოვს განკარგულებას „ლელოში" მის გამოსაქვეყნებლად საქართველოს სპორტსახკომის სიასთან ერთად.

აი, თურმე რა „ჩვენეულ" სიაზე ყოფილა ლაპარაკი. სხვათა შორის, ამ სიის (სპორტსახკომის) შესადგენად სპორტსახკომმა მისხალ-მისხალ აწონა და შეაფასა თითოეული სპორტსმენის შესაძლებლობები და პერსპექტივები, რის შედეგადაც აბიტურიენტთა სიაში მოხვდა, მაგალითად, ორად-ორი ტყვიის მსროლელი — რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრების წევრები ა. მეგრელიშვილი და გ. ნაცრიაშვილი. დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სიაში კი 17 ტყვიის მსროლელია... ამასთან, როგორც ცნობილია, წლევანდელ სიაში შევიდნენ უმთავრესად ის სპორტსმენები, რომლებიც IV ახალგაზრდულ საკავშირო სპორტულ თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავენ. დოსააფი კი გვთავაზობს 1955 წელს დაბადებულ მსროლელს გ. სულუმბეკოვს.

ვფიქრობთ, ა. მჭედლიშვილმა კარგად უნდა იცოდეს, რომ მსგავსი საკითხები სწორედ სპორტსახკომის „სექტორში" უნდა გადაწყდეს და არა სხვა გზებით.

შენ, ჩემო ქალაქო...

დედოფალს ქეთევანი ჰქვია, მეფეს — ბადრი. მეფე მემანქანედ მუშაობს და როცა კი მატარებელს თავისი დედოფლის ფანჯრებთან ჩაატარებს, გაბმულ საყვირს იძლევა. სადგური ამ ქალაქში შიგ ცენტრშია.

რა თქმა უნდა, ეს ბათუმია.

მატარებელში ვზივარ და ბორბლების ხმაურში, თითქოს გულისცემის ხმაურში, შევდივარ ქალაქში. ძალიან მიყვარს ბათუმი. თქვენც, არა? მაგრამ, ალბათ, მე უფრო მეტად — ეს ჩემი მშობლიური ქალაქია.

არაფერი არ იცვლება აქ. ყავისა და მაგნოლიების, ჰორტენზიების ნაზი ყვავილების სურნელი, რომლებსაც აქ რატომღაც „არისტოკრატებს" ეძახიან. ისევ ისე გვიანობამდე უსხედან ჭადრაკს ან დომინოს ბამბუკის ფანჩატურებში მოხუცები, ბულვარზე ისევ ისე დასეირნობენ კენტად ჩამოსულ ქერათმიან ქალიშვილებთან ენაწყლიანი ყმაწვილები და ისევ ისე ნირშეუცვლელი, ძველი, ლამაზი და ჩვენთვის მიუწვდომელი დგას რუხი-ნაცრისფერი „ინტურისტი".

...და ზღვა.

მაგრამ არა. ასე მხოლოდ ერთი შეხედვით გეჩვენება. ყველაფერი იცვლება, ბათუმელები ის აღარ არიან, რაც გუშინ იყვნენ. ლაპარაკიც სხვაა და აზრებიც. გრძელი რიგები გაზეთის ჯიხურებთან. დაუსრულებელი მსჯელობა პოლიტიკურ გარდაქმნებზე ქვეყანაში. ტრანსპარანტები, მოთხოვნები, მიტინგები. ბათუმი პატარა საქართველოს პატარა ქალაქია და იგი განუყოფელია ჩვენგან.

უგაზაფხულოდ დადგა ზაფხული ბათუმში. არავის შეუმჩნევია, როგორ შეცვალა აპრილი მაისმა. ცვლილებები მარტო იმაში არ გამოიხატება, რომ აპრილის მერე ყველა სუფრაზე პირველ სადღეგრძელოს ფეხზე ადგომით, დუმილში სვამენ.

ბათუმში ქორწილმა ჩამიყვანა.

მართალია, ქეთევანი და ბადრი ჯერ კიდევ ზამთარში დაქორწინდნენ, მაგრამ რაღაცნაირად ისე აეწყო, რომ არავის ექორწილებოდა. ახლა კი, როცა დედოფლის კაბას გაგანიერება დასჭირდა, გადაწყვიტეს აღარ გადაედოთ.

ბაქანზე რამდენიმე ქალმა დაღლილი ხმით და უიმედოდ შემომთავაზა ბინა. გამიკვირდა, ბინა? ბათუმში? ზაფხულში? ორიოდ საათის შემდეგ, წვიმაგადავლილ ქუჩებში სიარულით გული რომ ვიჯერე, მივხვდი, რაშიც იყო საქმე — ბათუმში ცოტაა ჩამოსული. უბრალოდ ცოტა კი არა, ძალიან ცოტა. მეტისმეტად ცოტა იმასთან შედარებით, რაც ადრე იყო. ცოტაა კაფეებში, ცოტაა ქუჩებშიც, ცოტაა პლაჟებზე.

რა გჭირს, ჩემო ბათუმო?

აღარ მექორწილებოდა...

აჭარის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიღებული დეპეშების მოზრდილი დასტა მიჩვენეს. სხვადასხვა ქალაქების ტურისტული ორგანიზაციები უარს ამბობენ საქართველოს კურორტზე ჩამოსვლაზე. ზოგიერთი ასაბუთებს თავის უარს: „საქართველოში არეული ვითარების გამო", „საშინელი მდგომარეობის გამო", სხვები არაფერსაც არ ხსნიან — არ ჩამოვალთო! მორჩა და გათავდა. საპასუხო დეპეშები ბათუმიდან, რომლებშიც აღწერილია დღეისათვის საქართველოში არსებული ნამდვილი ვითარება, სათვალავში არ მიიღება. აჭარის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭო ზარალს ანგარიშობს — ამ წლის ხუთი განვლილი თვის განმავლობაში შარშანდელთან შედარებით შემოსავალი თითქმის 800 ათასი მანეთით ნაკლებია. ალბათ ტყუილად უცდის 59-60 ათას ადამიანს კერძო სექტორი. ცუდად არის საკადრო პოლიტიკის საქმეც, მრავალ ტურისტულ ბაზაში პერსონალს ხომ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იწვევენ და ა. შ. და ეს ყველაფერი — საკურორტო სეზონის დასაწყისში.

მაგრამ, ამავე დროს, შავიზღვისპირა კურორტებზე საგზურების მხოლოდ 15 პროცენტი ნაწილდება საქართველოში. და იმათ, ვინც ცდილობდა ჩვენ საკუთარ შავ ზღვაზე, რომ იტყვიან ისე, „ქუჩიდან" ეშოვა საგზური, იციან, იმ 15 პროცენტში მოხვედრა რამხელა ამბავია. ამიტომაც ვეკითხები აჭარის ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ავთანდილ დიასამიძეს: ახლა მაინც თუ შეძლებთ ზღვაზე საგზურების შეძენას? შემიძლია დავწერო, რომ ყველა მსურველს მიიღებთ?

პირდაპირი შეკითხვა არანაკლებ პირდაპირ პასუხს მოითხოვს. მე „დიახს" ველი, მაგრამ...

„მაგრამ" იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ზღვის „აქციები" მარტო საბჭოთა კავშირში და უცხოეთში კი არ დაეცა, არამედ საქართველოშიც. ხალხში ნაირ-ნაირი, ზოგჯერ წარმოუდგენელი ხმები დადის. მომაქვს ციტატა გაზეთ „საბჭოთა აჭარის" 1989 წლის 15 ივნისის ნომრიდან, რომელშიც გამოქვეყნებულია რიგითი ცნობა ბათუმის სანაპიროს მდგომარეობის შესახებ:

„ივნისის პირველ დეკადაში ზღვის ზედაპირული ფენის ნავთობპროდუქტებით გაჭუჭყიანება კვლავ ნორმაზე მეტია და შეადგენს 0,71 მილიგრამს ლიტრ წყალში და ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აღემატება 14.2-ჯერ. ეს მდგომარეობა წინა დეკადასთან შედარებით უცვლელია, ხოლო შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,4-ჯერ მეტი აღმოჩნდა.

ბათუმის უბეში ზღვის წყლის, ასევე ბათუმის ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების მდგომარეობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ გარემოს გაჭუჭყიანების აღკვეთისა



და მისი გაჯანსაღებისათვის გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმარისია".

ჰიდრომეტცენტრის ცნობა გაცილებით ვრცელია. მასში მოტანილია მონაცემები ცალკეული რაიონების მიხედვით, იმ მდინარეების მდგომარეობა, რომლებიც ზღვას ერთვის. და მაინც არ არსებობს პასუხი — საშიშია თუ არა სიცოცხლისთვის ზღვა? ამ შეკითხვას უკვე სხვა კაბინეტში ვსვამ — აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის, აჭარის სანიტარიულ-ჰიგიენური სადგურის უფროსის, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული ექიმის თამაზ ამაღლობელის კაბინეტში. „ამის ზუსტად დასადგენად, — მეუბნება იგი, — ძალზე დიდი სამეცნიერო მუშაობის ჩატარებაა საჭირო, საჭიროა სტატისტიკა. ჩვენ მიწერ-მოწერა უნდა გვქონდეს ყველასთან, ვინც აქ ისვენებდა, ვინც ზღვაში იბანავა, უნდა გვქონდეს მონაცემები შემდგომ პერიოდში მათი ჯანმრთელობის შესახებ. მაშინ შესაძლებელი იქნება კავშირის დამყარება ზღვისა და ადამიანის ავადმყოფობას შორის. გვაქვს თუ არა ჩვენ ამგვარი გამოკვლევების ჩატარების შესაძლებლობა? რა თქმა უნდა, არა. ის სამუშაოებიც კი, რომლებსაც ჩვენი სამსახური ატარებს, მსოფლიო საზომით ძალზე მოკრძალებულია. იმ სინჯების დეტალურ გულმოდგინე ანალიზსაც ეს უკანასკნელი ორი-სამი წელია ვატარებთ. არადა ჩვენ გვინდა, ვცდილობთ საერთაშორისო დონის კურორტი გავხდეთ. მაშასადამე, ზღვაც „დონეზე" უნდა იყოს. აი, ნახეთ, როგორ დასკვნას მოვაწერე ხელი გუშინ: „სასურველია, ყველამ შევიკავოთ თავი ზღვაში ბანაობისაგან, უკიდურეს შემთხვევაში ბავშვები მაინც დავიცვათ ამისგან. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ზღვის წყლის ყელში გამოვლება, ასეთი ჩვეულება კი ბევრს აქვს. სასურველია ზღვაში ბანაობის შემდეგ შხაპის მიღება".

არ მომწონს ეს სურათი! ზღვასთან ასე თუ ისე დაკავშირებული ორი სოლიდური ორგანიზაცია, რომლებიც, სხვათა შორის, კილომეტრით თუ არიან ერთმანეთისგან დაშორებული, აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას იძლევა. ერთი ამბობს — ჩამობრძანდითო, მეორე — ნუო! განა არის დღეს ვინმე ისეთი, ვინც მედიკოსთა რეკომენდაციებს ყურს არ მიუგდებს? მეორე მხრივ, ღირს ზღვაზე ჩამოსვლა და უზღვოდ ყოფნა? მაშ, რით შეგვიძლია მოვიზიდოთ დამსვენებლები ბათუმში? ზღაპრული კვებით? კარგი მომსახურებით? შესანიშნავად ორგანიზებული დასვენება-გართობით?

მაშ, მშვიდობით, ბათუმო?

სხვათა შორის, დასვენების შესახებ. სპორტული ბაზების სიმცირე, მათი ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი დონე, აუზებთან დაკავშირებული სიძნელეები — ეს „სენი" რესპუბლიკის ყველა რეგიონისთვის ნაცნობია. მაგრამ, თუ გვინდა მისგან განვიკურნოთ, სწორედ საკურორტო ზონით უნდა დავიწყოთ, რადგანაც ტურიზმი რესპუბლიკის ბიუჯეტის ერთ-ერთი არცთუ უმნიშვნელო წყაროა და კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით დღესვე უნდა გადაიდგას, დიახ, დღესვე, როცა რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ. მაგალითად, „ლელოს" რედაქციაში ბათუმიდან წერილი მოვიდა. მას ორმოცი კაცი აწერს ხელს. გარეუბნის (ე. წ. ჭაობის) ურეხის შესახვევის მცხოვრებნი გვთხოვენ სპორტული მოედნის მოწყობაში დავეხმაროთ. თურმე ნახევარი წლის წინათ იქვე, ახლოს (მარქსის, ასათიანისა და ბაგრატიონის ქუჩების გადაკვეთაზე) ბარაკების დანგრევის შემდეგ ტერიტორია გათავისუფლებულა, მაგრამ იქაურობას პატრონი არ გამოსჩენია და ეს ადგილი სულ მალე ნაგავსაყრელად ქცეულა. მცხოვრებლები ითხოვენ აქ სპორტული მოედნის მოწყობის ნებართვას, ამასთან ყველაფრის გაკეთებას საკუთარი ძალებით ფიქრობენ. მით უმეტეს, რომ ახლო-მახლო არც ერთი ღია მოედანი არ ყოფილა.

ამ თაოსნობის მხარდაჭერა კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას ნიშნავს. გადაიდგმება კი ეს ნაბიჯი?

ეს — მცირე საქმეში. ახლა დიდში? განა პირველად გვესმის ლაპარაკი ზღვის დაბინძურების შესახებ? სანიტარიული ექიმები სულაც არ ერიდებიან ლამის კარის მეზობელ საკურორტო სამსახურის მუშაკებს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ მოიზიდონ დამსვენებლები და განგაშს ტეხენ — ზღვა დაბინძურებულიაო. რატომ არავის ესმის ეს სიტყვები? სად არის კონკრეტული ნაბიჯები?

მახსოვს, როცა გაზეთებში პირველად დაიწყო წერა ზღვის დაბინძურების შესახებ, გამოჩნდა არცთუ ცოტა ხალხი, ვისაც აღაშფოთებდა ამგვარი საჯაროობა, ისინი გაზეთების გაჩუმებას ცდილობდნენ, ტურისტებს დააფრთხობენო, მაგრამ მგონი, ასეთი დუმილი ოქრო არ არის. თუ არ გააფრთხილებ, მაშასადამე, ატყუებ. ცოტა ვიცხოვრეთ ტყუილით? თუნდაც რომ გავჩუმდეთ, არა მგონია ამით საქმეს ეშველოს — უკვე ბევრგან არსებობს, ხოლო უახლოეს მომავალში ყველა საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციაში შეიქმნება სპეციალური სანიტარიულ-ჰიგიენური კომისიები, რომლებიც ნებისმიერ დროს, სრულიად მოულოდნელად ჩავლენ საერთაშორისო კურორტებზე და ზღვის წყლის სინჯებს აიღებენ. რა ვქნათ მაშინ, ვალუტური ჯარიმები ვიხადოთ?

...რა ნელა მიცურავს სახლები, რა ნელ-ნელა იღებს სიჩქარეს მატარებელი, თითქოს ქალაქიდან წასვლა არ უნდაო, რა გაბმულია საყვირის ხმა... იქნებ, ეს ბადრის მატარებელია? ან იქნება ეს ჩვენი გულის ცემაა, სიყვარულის გაბმულ, ნაზ სიმღერას რომ თხზავს? ო, ბათუმო, შენ ისეთი ლამაზი ხარ, რომ ყველაფერს დაავიწყებ კაცს, ქორწილსაც კი...

...წყნარია ზღვა.

პეპი ბოჟორიშვილი,
„ლელოს" სპეც. კორ.

აღარც მდელო და აღარც ცხენები

ანუ შესვლა საშიშია

...სხედან, საუბრობენ, კამათობენ მრავლისმნახველი ადამიანები. კიროვის პარკში მუდამ შეხვდებით მათ — რამდენი რამ ახსოვთ, რამდენ საინტერესოს გაიგებს მათგან კაცი. ვცდილობ, საუბარი ჩემთვის საინტერესო თემისკენ წარვმართო — მათ შორის ალბათ ყოფილი სპორტსმენებიც არიან.

გიორგი სამადაშვილი ძველი ტანმოვარჯიშეა. იმ დროს იხსენებს, ფეხბურთის დღე თბილისში ნამდვილი დღესასწაული რომ იყო.

— ზემიც კარგი იყო და ფეხბურთელებიც კარგი გვყავდა. არ მითხრათ ახლა, მარადონა და ზიკო ბორის პაიჭაძეზე უკეთ თამაშობენო — ცოტა არ იყოს, ნიშნის მოგებით მეკითხება ბატონი გიორგი. ვერ ვუპასუხე. საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე.

● **იქნებ ის თქვენი ჭაბუკობისდროინდელი ქართული თამაშები გაიხსენოთ, მივიწყებულიაო, დღეს რომ ამბობენ.**

— „ჩილიკა-ჯოხი", „ლახტი", „ჯორი ღლიტე"... ყველაზე ძალიან ქართული ჭიდაობა მიყვარდა, ზურნას რომ დაუკრავდნენ, ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

საუბარში ვარლამ ახობაძე ჩაერია. „რიკტაფელა" და „ქაკუნობია" გაიხსენა 80 წლის მოხუცმა.

● **რომ დაგვავიწყდა, ბატონო ვარლამ, ეს თამაშები, ვის დავაბრალოთ?**

— ბავშვებს ეზო უნდათ, ფართობია საჭირო. ეზოები კი მანქანებით აივსო. ჩვენ თვითონ ვუკარგავთ ბავშვებს თამაშის სურვილს. ჩვენ დროს სად იყო სპორტის ამდენი სახეობა? ძალზე გავრცელებული იყო ცხენბურთი, მაგრამ წინათ სოფლებში დიდი მდელოები იყო, ეხლა აღარც მდელოა და აღარც ცხენები.

● **დღევანდელი სპორტი ანგარიშიანი და ულმობელი გახდა, წინათ კი ასე არ იყოო, თქვენი ხნის ხალხისგან მსმენია...**

— ვინ რას ამბობს, არ ვიცი, მაგრამ ერთ რამეს წყალი არ გაუვა: ძველი ქართული თამაშები იმიტომაც არ უნდა დაიკარგოს, რომ არც ერთ მათგანში ძალადობა-ძალმომრეობის ნასახი არ იყო — მთავარი ყოველთვის ხერხიანობა-საზრიანობა გახლდათ. ყველა ძველი თამაში ქართველი კაცის მაღალ ზნეობაზე, რაინდობაზე მეტყველებს: წაქცეულს წამოსაყენებლად ხელს უწვდის, წაგებულს მეგობრულად ეხვევა, სხვის თავმოყვარეობას არასოდეს შელახავს...

● **თუ ისურვებდით პენსიონერთათვის ხელმისაწვდომ სახეობებში გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობას?**

— რატომაც არა. ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში...

● **სირბილშიც — „შევეშველე".**

— სირბილში, უკაცრავად — ეცინებათ.

სირბილი და ცხენოსნობა აღარ შეუძლიათ, მაგრამ ჭადრაკს ნამდვილად სიამოვნებით ითამაშებდნენ, ნორმალურად თამაშის საშუალება რომ ჰქონდეთ. სწუხან მოხუცები, იქნებ თქვენმა გაზეთმა მაინც გვიშველოსო — პენსიონერთა დასასვენებელ სახლში ჭერი ჩამონგრეულა, წყალი ჩამოდის, იატაკი აყრილია... რა თქმა უნდა, პირდებიან, შეგიკეთებთო, მაგრამ დაპირებები, მოგეხსენებათ, ბევრი ვიცით.

● **ხომ შეიძლება თუნდაც აქ, კიროვის პარკში, პენსიონერთათვის მოეწყოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი — საცურაო აუზიც იყოს, ეგრეთ წოდებული აღდგენითი ოთახებიც, მეთოდისტებმაც იმუშაონ, ვისაც როგორ შეუძლია, ისე ივარჯიშოს და ითამაშოს...**

ლამაზი სიტყვები ჰგონიათ მოხუცებს ჩემი წრფელი სურვილი. მიყურებენ და ვგრძნობ, ახალგაზრდობას მიაწერენ ჩემს „ილუზიებს". არც გაემტყუნებათ: პენსიონერთა სპორტული კომპლექსის აგება კი არა, პატარა შენობა ვერ შეუკეთებიათ, რომ ამაგდარმა ადამიანებმა ნორმალურად დაისვენონ.

არც სხვა პარკებშია უკეთესად საქმე. გორკის სახელობის პარკი, მაგალითად მანქანებით არის სავსე, საშინელი მტვერია და ამიტომ „ძველ პლეხანოველებს" ვერაზე გვიწევს ამოსვლა, აქ მტვერი მაინც არ არისო — ესეც მითხრეს.

სხედან, საუბრობენ, კამათობენ მრავლისმნახველი ადამიანები და... ელიან როდის შეაკეთებენ კიროვის პარკის პენსიონერთა სახლს, სადაც შესვლა დღეისათვის უკვე საშიშია.

ნათია ლაზაშვილი.

პირველობა ტიმანს ერგო

ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების V ეტაპი.

ზედიზედ მესამე დამარცხება იწვნია მსოფლიოს ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა, იგი ბოლო, მე-17 ტურში ინგლისელმა ჯონ ნანმა დაამარცხა. ამ წაგების გამო კარპოვი ქულით ჩამორჩა ტურნირის გამარჯვებულს, ჰოლანდიელ დიდოსტატ იან ტიმანს, რომელმაც ამ ტურში შავი ფიგურებით ამერიკელი იასერ სეირავანი დაამარცხა და 10,5 ქულით I ადგილი დაიკავა. 9 ქულით III ადგილი წილად ხვდა რაფაელ ვაგანიანს. ბოლო ტურში იგი უნგრელ ლაიოშ პორტიშს დაუზავდა.

ამრიგად, შესანიშნავი სტარტის შემდეგ მსოფლიოს ექსჩემპიონმა ტურნირის „ენდშპილი" ძალზე სუსტად ჩაატარა. აბა წინასწარ ვინ იტყოდა, რომ ანატოლი კარპოვი, რომელიც მთელი შეჯიბრების მანძილზე, ყოველი ტურის შემდეგ თანდათან შესანიშნავი შედეგით უახლოვდებოდა ფინიშს, ზედიზედ სამ მარცხს განიცდიდა. ამით მან მხოლოდ ამ ტურნირის პირველი პრიზი კი არ დაკარგა, არამედ საგრძნობლად გაიუარესა საქმე მსოფლიო თასის გათამაშების საბოლოო გამარჯვებაში. ახლა მსოფლიო ჩემპიონს რომ გაუსწროს, VI ეტაპის მოგებასთან ერთად ქულანახევრით უნდა აჯობოს თავის უშუალო მეტოქეს — გარი კასპაროვს, ეს კი, დაგვეთანხმებით, არცთუ იოლი მისაღწევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თასი — „დნეპრს“!

25 ივნისს მოსკოვის მთავარ სტადიონზე ლუჟნიკში შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ეს იყო საპატიო პრიზისთვის ბრძოლის 48-ე ფინალური შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედო“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

ტორპედოელები მანამდე 6-ჯერ ფლობდნენ საპატიო პრიზს, დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები კი თავიანთი არსებობის ისტორიაში პირველად გავიდნენ ფინალში.

თამაში უკიდურესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა, თუმცა, სწორედ ამ დაძაბულობის, ნერვიულობისა და სიფრთხილის მიზეზით მას სანახაობითი მხარე მნიშვნელოვნად დააკლდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა პირველ ტაიმში.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც „დნეპრის“ კაპიტანმა შოხმა გაიტანა მეორე ტაიმში. მის მიერ დაახლოებით 20 მეტრიდან დარტყმულ ბურთს ვერ მისწვდა ტორპედოელთა მეკარე სარიჩევი და, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოველები ბევრს ეცადნენ, ხელსაყრელი მომენტები საკმარისად ჰქონდათ, მაგრამ „დნეპრმა“ შეძლო ანგარიშის შენარჩუნება და პირველად დაეუფლა თასს.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონია, ამიტომ იგი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო მოსკოვის „ტორპედო“, როგორც წლევანდელი თასის ფინალისტი, გამოვა თასების მფლობელთა თასის ტურნირში.

* * *

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

სსრ კავშირის 1989 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის I წრე დამთავრდა, მაგრამ ვიდრე მეორე წრე დაიწყებოდეს, ჩასატარებელია გამოტოვებული შეხვედრები.

გასულ შაბათს XI ტურის მატჩი შედგა ხარკოვის „მეტალისტსა“ და ვოლგოგრადის „როტორს“ შორის. გამარჯვებას ხარკოველმა ფეხბურთელებმა მიაღწიეს — 1:0.

გათამაშების კალენდრის შესაბამისად 23-ე ტურის შეხვედრაც იმავე შაბათს გაიმართა. ვილნიუსის „ჟალგირისმა“ საკუთარ მინდორზე ანგარიშით 4:0 დაამარცხა ლენინგრადის „ზენიტი“.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 27 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	15	10	4	1	28-7	24
„ტორპედო“ (მოსკოვი)	15	7	7	1	18-8	21
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	15	8	4	3	16-10	20
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	16	8	3	5	22-17	19
„დინამო“ (კიევი)	15	7	5	3	18-10	19
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	15	6	5	4	19-18	17
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	15	6	4	5	15-13	16
„დინამო“ (მოსკოვი)	15	5	5	5	22-16	15
„დინამო“ (მინსკი)	15	6	2	7	16-16	14
„არარატი“ (ერევანი)	15	5	3	7	13-21	13
„დინამო“ (თბილისი)	14	3	6	5	12-13	12
„შახტიორი“ (დონეცკი)	15	4	3	8	10-16	11
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	15	3	5	7	11-17	11
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	15	3	4	8	9-22	10
„პამირი“ (დუშანბე)	15	2	6	7	10-23	10
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	15	2	4	9	7-19	8

I ლიგა

24 ივნისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XVIII ტურის მატჩები.

ლანჩხუთის „გურიამ“, როგორც ვიტყობინებოდით, შინ მიიღო დონის როსტოვის არმიელთა გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

ამავე ტურში ბათუმის დინამოელებმა მარცხი განიცადეს ალმა-ათაში, „კაირატთან“ შეხვედრაში — 0:3, ხოლო ქუთაისის ტორპედოელები როსტოვში დამარცხდნენ „როსტსელმაშთან“ შეხვედრაში — 0:2.

ზონის ლიდერმა ცსკა-მ მორიგი გამარჯვება მოიპოვა საკუთარ მინდორზე სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ — 4:0. ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:2, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	17	13	2	2	49-10	28
„კაირატი“	18	10	4	4	34-16	24
„ფახთაქორი“	18	9	5	4	25-9	23
„დინამო“ სტ.	17	7	9	1	23-15	23
„გურია“	16	9	4	3	26-13	22
„ნისტრუ“	18	9	1	8	16-22	19
„ფაკელი“	17	7	5	5	18-13	19
„ნეფთჩი“	17	6	6	5	17-17	18
„შინიკი“	17	6	6	5	20-26	18
„მეტალურგი“	17	7	3	7	24-19	17
„კოტაიკი“	17	6	5	6	17-12	17
„როსტსელ.“	17	5	7	5	16-15	17
„ტორპედო“	16	7	2	7	25-27	16
„სპარტაკი“	17	6	4	7	18-20	16
„დინამო“ ბ.	17	6	4	7	13-27	16
„გეოლოგი“	16	7	1	8	17-19	15
„ყუბანი“	17	6	3	8	18-31	15
„ტავრია“	17	5	4	8	22-31	14
„კუზბასი“	17	4	6	7	9-13	14
ასკ რ.	17	4	2	11	24-33	10
ასკ „კარპატი“	17	1	5	11	14-33	7
„დაუგავა“	17	1	4	12	9-33	6

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XVII ტურის შეხვედრები: „შევარდენი“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 0:2, „გოიაზანი“ (ყაზახი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:1, „დინამო“ (მახაჩყალა) — „დინამო“ (სოხუმი) 2:2, „ტერმისტი“ (ბაქო) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2, „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 5:2, „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 3:1, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 0:0, „ყარაბაღი“ (აგდამი) — „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) 3:2, „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — ომც (თბილისი) 5:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „კოლხეთი“ (ფოთი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ ს.	14	11	2	1	35-10	24
„ლოკომ.“ ს.	15	9	3	3	24-12	21
„ნარტი“	16	9	3	4	20-12	21
„დილა“	16	9	3	4	27-18	21
„ტექსტილ.“	16	9	2	5	30-15	20
„კოლხ.“ ფ.	16	8	4	4	20-10	20
„ხაზარი“ ს.	16	8	4	4	26-21	20
„მეტალ.“	17	6	7	4	19-16	19
„გოიაზანი“	17	8	2	7	21-25	18
„კოლხეთი“ ხ.	16	7	4	5	23-21	18
„ტორპედო“	16	7	3	6	16-12	17
„ყარაბაღი“	16	7	2	7	16-28	16
„ქიაფაზი“	16	6	4	6	20-21	16
„მერცხალი“	17	6	3	8	24-22	15
„ზვეზდა“	16	6	2	8	28-31	14
„დინ.“ მახ.	16	3	7	6	26-25	13
„ტერმისტი“	16	4	4	8	13-20	12
„ლოკ.“ მ. წყ.	16	3	6	7	18-23	12
„ატომმაში“	16	5	1	10	23-28	11
„შევარდ.“	17	4	3	10	14-27	11
„ხაზარი“ ლ.	16	5	0	11	11-28	10
ომც თბ.	17	2	1	14	17-42	5

მორიგი XVIII ტურის შეხვედრები ამ ზონაში გუშინ, 26 ივნისს გაიმართა.

* * *

საქართველოს პირველობა

„ივერია“ (ხაშური) — „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“ (თბილისი) 1:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მზიური“ (გალი) 1:0, „სიონი“ (ბოლნისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დინამო“ (გაგრა) 2:1, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სულორი“ (ვანი) 2:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 0:1, „არმაზი“ (მცხეთა) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0.

* * *

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

ნორვეგია

მე-5 ტური. „ბრანი“ — „სიონდალი“ 1:0, „ლილესტრიომი“ — „კონგსვინგერი“ 0:0, „მოსი“ — „ვალერინგენი“ 2:2, „კრისტიანსანდი“ — „ნარვიკი“ 1:2, „ტრომსო“ — „როზენბორგი“ 2:0, „სტავანგერი“ — „მოლდე“ 2:0.

„ლილესტრიომი“	5	7-1	12
„ტრომსო“	5	8-2	12
„სტავანგერი“	5	9-6	10

შვედეთი

მე-10 ტური. „გოტებორგი“ — „ნორჩეპინგი“ 3:1, „იურგორდენი“ — „გაისი“ 3:2, „მალმიო“ — „ესტრია ფრელუნდა“ 4:0, „ბრაგე“ — „ჰალმსტადი“ 0:1, „სუნდსვალი“ — „ერებრუ“ 1:2, „ერგრიუტე“ — „აიკი“ 1:1.

„მალმე“	10	18-8	16
„ჰალმსტადი“	10	15-11	14
„გეტებორგი“	10	19-10	13

დანია

მე-10 ტური. ბ1913 — „ალბორგი“ 1:2, „ორხუსი“ — „ფრამი“ 2:0, „ბრონშიო“ — „ბ1903 ოდენსე“ 0:4, „იკასტი“ — „სილკებორგი“ 1:1, „ლუნგბიუ“ — „ჰერფოლგე“ 4:0, „ნესტვედი“ — „ოდენსე ბკ“ 1:3, „ვეილე“ — „ბრონდბიუ“ 2:0.

„ბრონდბიუ“	10	16
„ოდენსე ბკ“	10	15
„ვეილე“	10	15

ესპანეთი

გაირკვა ქვეყნის თასის პირველი ფინალისტი. „ვალიადოლიდმა“ დაამარცხა „ლა კორუნია“ 2:0 (პირველი მატჩი 0:1) და ახლა ელოდება მადრიდის „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ განმეორებით შეხვედრას (პირველი ბრძოლა მოიგო „რეალმა“ 2:0).

უნგრეთი

თასის ფინალში შეხვდნენ ჩემპიონი „ჰონვედი“ და ვერცხლის პრიზიორი „ფერენცვაროში“, გაიმარჯვა „ჰონვედმა“ — 1:0.

ჩეხოსლოვაკია

30-ე ტური. „ჰრადეც კრალოვე“ — „ბანსკა ბისტრიცა“ 1:2, „სპარტა“ — „სპარტაკი“ (ტრანავა) 6:1, „ინტერი“ — „ბანიკი“ 4:2, „სლავია“ — „შკოდა“ 1:0, „სიგმა“ — „დუნაისკა სტრედა“ 2:2, „რუდა ჰვეზდა“ — „ბოჰემიანსი“ 2:1, „ვიტკოვიცე“ — „სლოვანი“ 2:0, „პლასტიკა“ — „დუკლა“ 3:2.

საბოლოო ცხრილი

„სპარტა“ (პრაღა)	30	73-26	45
„ბანიკი“ (ოსტრ.)	30	54-34	42
„პლასტიკა“ (ნიტ.)	30	38-40	34

შვეიცარია

ფინალური ტური. „ქსამაქსი“ — „იანგ ბოიზი“ 3:2, „სერვეტი“ — „ბელინცონა“ 4:2, „სიონი“ — „გრასჰოპერსი“ 2:0, „ვეტინგენი“ — „ლუცერნი“ 1:0.

საბოლოო ცხრილი

„ლუცერნი“	14	17-11	33
„გრასჰოპერსი“	14	20-18	30
„სიონი“	14	22-15	29

ჩემპიონატი რაგბიში

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 24 ივნისი.

„ელმავალი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 13:6 (3:0).

„ელმავალი“: საცერაძე; ა. ხვედელიძე, მარჯანიშვილი, თავაძე, ნატროშვილი (ლვინიაშვილი, 87), ჩავლეიშვილი, ჰეიშვილი; ბაკურაძე, კაკაბაძე, ქ. გიუნაშვილი; ჯაფარაშვილი, მექვაბიშვილი, რაფავა (მონიავა, 8), გ. გიუნაშვილი; ხუადე.

„ლოკომოტივი“: ბრატკო; ფირსოვი, რომანოვი, კოსტიუკი, რუდენკო; ბუგროვი, დანილოვი; ნეხოროშევი, მალიკოვი, დუტიკოვი (კარპუშენკო, 64); კუზნეცოვი (ბარანკოვი, 58), ივანოვი, პლოტნიკოვი, მოხიაკოვი; შარკოვი.

მსაჯი — ალექსანდრე კობერი (ტაშკენტი).

გოლები: „ელმავალი“ — 3 საჯარიმო (22, მარჯანიშვილი; 77,86: ნატროშვილი), ლელო (59, ბაკურაძე); „ლოკომოტივი“ — ლელო (83, ბრატკო) გარდასახვითურთ (რომანოვი).

თანაკლუბელთა მორიგი მატჩი იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ, პირველად თბილისური რაგბის ისტორიაში, თამაშის შემდეგ გათამაშდა ლატარია, რომლის ორ გამარჯვებულს „ჟიგულის“ ურიგოდ შეძენის უფლება ერგო. ამის ბრალი იყო თუ „ელმავლის“ ბოლოდროინდელი წარმატებებისა, ტრიბუნებზე მაყურებელმაც მრავლად მოიყარა თავი. განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის, რომ ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ სტადიონზე არაერთი ძველი მორაგბე ვიხილეთ, რომელთა ხელახლა მობრძანების პირველმიზეზი, რაღა თქმა უნდა, ქალაქის უპირველესი გუნდის თამაშის ხილვის სურვილი იყო. მასპინძლებმაც, რამდენადაც ძალა და უნარი შესწევდათ, იმედები არ გაუმტყუნეს დაბრუნებულ ქომაგებს და ერთ-ერთი ლიდერის დამარცხებით კიდევ უფრო გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

მატჩი უშელავათო, მაგრამ სანახაობრივად მდარე გამოდგა. მართალია, მასპინძლებს თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ თამაში, სტუმრებისა არ იყოს, მათაც აშკარად არ გამოუვიდათ. შერკინებს ნახევარმცველად, დაშავებული გაბრიჩიძის ნაცვლად, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ ჰეიშვილი მოგვევლინა, რომელსაც, როგორც ჩანს, ცოტათი დავიწყნია ამ ადგილზე თამაშის ჩვევები. ჩვენი მორკინალებიც ამ დღეს ფეხზე მყარად ვერ იდგნენ, შერკინებისას ვერ უძლებდნენ მეტოქის მოწოლას, უკან იხევდნენ და ჰეიშვილსაც კიდევ უფრო უძნელებდნენ ბურთის აღებას. ყოველივე ამის გამო ბურთი შერკინებიდან ერთთავად მის შემკვრელს (ჯერ ხუადეს, შემდეგ მონიავას) გამოჰქონდა, გადასცემდა ჰეიშვილს, ის კიდევ — ჩავლეიშვილს, ამასობაში კი მოსკოველთა უკანა ხაზი საუკეთესო დაცვით პოზიციას იჭერდა და თბილისელებს გასაქანს არ აძლევდა. ასეთ ვითარებაში „ელმავალმა“ ერთადერთ გამოსავალს მიაგნო: ბურთის მოპოვების შემდეგ ხან თავად მორკინალები და ჰეიშვილი უტევდნენ, ხანაც ნახევარმცველები ფეხით გზავნიდნენ ბურთს „ლოკომოტივის“ დაცვის სიღრმეში. ასეთმა ტაქტიკამ გაამართლა. სტუმრებმა ჩვენების იერიშები რამდენჯერმე წესების დარღვევის ფასად ჩაშალეს და „ელმავლის“ დამრტყმელებსაც შანსი ხელიდან არ გაუშვიათ. რაც შეეხება გატანილ ლელოს, იგი მთლიანად ჯაფარაშვილის თავგამოდებისა და ბაკურაძის საზრიანობის შედეგია: პირველის ჯიქური იერიშის შემდეგ მოსკოველთა კარის ხაზთან აუტის მოწყობისას დერეფანში შვიდის ნაცვლად მხოლოდ ორი თბილისელი მოეწყო, ბაკურაძე კი მოულოდნელად შეიჭრა ლაინში, მიიღო ბურთი და სტუმრებთან ჭიდილში ხაზს მიღმა გადაალწია.

ქუთაისი. სარაგბო მოედანი. 24 ივნისი.

„აია“ (ქუთაისი) — „ფილი“ (მოსკოვი) 6:3 (6:3).

„აია“: ზუევი; შ. ხარშილაძე, ო. ლიპარტელიანი, გეგუჩაძე, ჟორჟოლიანი; ძაგნიძე, ლოხაზერიძე; ფირცხალავა, ტურძელაძე, ლიკლიკაძე; ფხაკაძე, ოდიშარია, იხაკაძე, ზ. ლიპარტელიანი; ნემსიწვერიძე.

„ფილი“: უ. ხალავათოვი; ჟურავლიოვი, ა. ფიოდოროვი, ტრუხელკინი, კარპუხინი (აბდულოვი); კოროლიხინი, ბორისოვი; იუხიმი, ფომინი, კირპა; სერგეევი, მაკაროვი, მიშაკოვი, კოსტენიჩი: ო. ფიოდოროვი.

მსაჯი — ანატოლი შევერიოვი (კიევი).

გოლები: „აია“ — ლელო (36, ფხაკაძე) გარდასახვითურთ (ძაგნიძე); „ფილი“ — საჯარიმო (4, კოროლიხინი).

ახლო წარსულში საბჭოთა რაგბის ერთ-ერთმა ლიდერმა — მოსკოვის „ფილიმ“ ბოლო ტურების წარუმატებლობის შემდეგ საგრძნობლად გაიუარესა ფინალში მოხვედრის შანსი. სტუმრებს, რომ იტყვიან, უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ, და ახლა ყოველ მატჩში დიდი მონდომებით იბრძვიან.

მაგრამ ერთია მონდომება და სულ სხვაა ოსტატობა. მატჩმა გვიჩვენა, რომ სტუმრები დიდი გაწაფულობით ვერ დაიკვეხნიან. თუმცა აქ დღეს ბევრად არც ქუთათურებს გამოუჩენიათ თავი, რაც, პირველ ყოვლისა, მორკინალთა ულიმღამო თამაშით აიხსნება. ყველანი მივეჩვიეთ, რომ ბოლო წლებში შერკინება „აიას“ უძლიერესი რგოლია, და თუ გუნდმა რაიმეს მიაღწია, სწორედ მისი ოსტატობის ხარჯზე. მაგრამ ახლა, როცა ამდენი ძლიერი მორკინალია დაშავებული, გუნდს ძალიან უჭირს — უჭირს ისე, რომ „ფილის“ დამაჯერებლადაც კი ველარ უგებს.

თამაში სტუმართა იერიშებით დაიწყო. „აიას“ მორკინალებმა თამაშგარე მდგომარეობის წესი დაარღვიეს და კოროლიხინმაც ზუსტად დაარტყა საჯარიმო. მატჩის მსვლელობაში გარდატეხის შეტანას მასპინძლებმა თითქმის მთელი ტაიმი მოანდომეს. ბოლოს, ერთ უიშვიათეს მომენტში, მორკინალებმა მაინც ოსტატურად გაათამაშეს ბურთი, ფხაკაძემ ლელო გაიტანა, ძაგნიძემ გარდასახა და „აია“ დაწინაურდა — 6:3.

შესვენების შემდეგ თამაშის საერთო სურათი არ შეცვლილა. მასპინძელთა მორკინალებმა უკანა ხაზი ამჯერადაც ვერ „მოამარაგეს“ ბურთით, გარემარბები და მცველი კი „ფილის“ უფერულ იერიშებს ადვილად იგერიებდნენ. გუნდებს შეცდომა შეცდომაზე მოსდიოდათ, ანგარიშიც აღარ შეცვლილა, თუმცა ვერც გაამტყუნებ მორაგბეებს — ყოველ მეოთხე დღეს თამაშით მათ ენერგიის ნატამალიც კი არ რჩებათ. ასეა: უხეიროდ შედგენილი კალენდრის გამო აგებს რაგბიცა და მაყურებელიც!

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ საკ. კორ..
ქუთაისი.

• • •

ტურის სხვა მატჩების შედეგები: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ზვეზდა“ (ტაშკენტი) 15:20, ეტს (კრასნოიარსკი) — „ავიატორი“ (კიევი) 29:12, სსა (მონინო) — „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) მატჩი არ გამართულა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ივნისისათვის

	თ.	შ.	ხ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
ეტს	17	9	8	13	0	4	26
სსა	15	7	8	11	1	3	23
„აია“	16	7	9	10	3	3	23
„ლოკომ.“	17	11	6	11	0	6	22
„სლავა“	16	8	8	8	2	6	18
„ფილი“	17	10	7	7	3	7	17
„ელმავ.“	16	6	10	6	3	7	15
„ავიატ.“	17	7	10	7	1	9	15
„ელექტ.“	16	8	8	7	1	8	15
„ზვეზდა“	17	9	8	5	1	11	11
ასკ	15	7	8	4	1	10	9
„სპარტ.“	17	9	8	1	0	16	2

მომდევნო ტურში, 28 ივნისს, „აია“ უმასპინძლებს „სლავას“, „ელმავალი“ — „სპარტაკს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მიზნები დიდია

ამ დღეებში ზედიზედ ორი სასიხარულო ცნობა მოვიდა შვეციის ქალაქ უმეოდან, სადაც გაიმართა ევროპის პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ვახტანგ იაგორაშვილმა იქ ყველას აჯობა პირად პირველობაში და ოქროს მედალი მოიპოვა, შემდეგ კი მოსკოველ თანაგუნდელებთან ლეონიდ ვიტოსლავსკისთან და ანატოლი სტაროსტინთან ერთად გაიმარჯვა გუნდურ პირველობაში. ამასთან გასათვალისწინებელია, ისიც, რომ შეჯიბრება — როგორც პირადი, ისე გუნდური — ძალზე შემჭიდროებული რეგლამენტით, ერთ დღეს გრძელდებოდა, რაც პირველი შემთხვევა გახლავთ ასეთი მასშტაბის ასპარეზობაზე.

ალბათ ბევრმა, უფრო კი საქმეში ჩაუხედავმა ხალხმა, ასეთი წარმატება მოულოდნელობად აღიქვა, რადგან ვ. იაგორაშვილმა წლევანდელი სეზონი, რომელიც ახალი ოლიმპიური ციკლის დასაწყისია, წარუმატებელი სტარტებით დაიწყო. გაიხსენეთ მისი გამოსვლები ამერიკაში, გფრ-ში და კიდევ სხვა ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებში, სადაც ვახტანგი პირველი ათეულის მიღმა რჩებოდა.

სპორტში, განსაკუთრებით კი ხუთჭიდში კარგად გათვითცნობიერებულთათვის კი არც ის „წარუმატებელი სტარტები" და არც შვეციაში გამარჯვების ეს სერია მოულოდნელი არ ყოფილა.

● აი, რა განაცხადა ამის გამო რესპუბლიკის მთავარმა მწვრთნელმა თანამედროვე ხუთჭიდსა და ცხენოსნობაში, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა რევაზ მანჯავიძემ:

— ვახტანგს, ისეთი დატვირთული და რთული წლის შემდეგ როგორიც შარშანდელი გახლდათ მისთვის, ეს სეზონი, რომ იტყვიან, „ნულიდან" უნდა დაეწყო. პირველ ყოვლისა კი იგი უნდა გათავისუფლებულიყო იმ ფსიქოლოგიური ტვირთისა და ემოციებისაგან ოლიმპიურ თამაშებზე საპრიზო ადგილის მოპოვებასთან რომ იყო დაკავშირებული. ვინაიდან დიდების შარავანდედი ხშირად ცუდ სამსახურს უწევს ათლეტს, მით უმეტეს, როცა მას არანაკლებ რთული და საპასუხისმგებლო სეზონი ელის. შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგმა, როგორც ნამდვილმა სპორტსმენმა, უშეცდომოდ შეაფასა შესაძლებლობა და ზუსტად გაანაწილა თავისი ძალები, არ აჰყოლია ცდუნებას და რიგით თუ კომერციულ საერთაშორისო შეხვედრებში მთელი ძალით არ უბრძოლია. ამით აიხსნება მისი წლევანდელი „ჩავარდნებიც".

აი, პირველ ოფიციალურ შეჯიბრებას კი იგი სრულ მზადყოფნაში შეხვდა და დამაჯერებლად მოიგო კონტინენტის, როგორც პირადი, ისე გუნდური პირველობა.

იმედია, ჩვენი ხუთჭიდელი ასევე დინჯად შეუდგება წლევანდელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზნისაკენ მიმავალ გზას, რომელსაც მსოფლიო პირველობა ჰქვია. ეს ასპარეზობა აგვისტოს მეორე ნახევარში უნგრეთში გაიმართება.

ჩაიწერა უშანგ ჭიჭინაძემ.

როგორ დაიკარგა ოქროს მედალი

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მახაჩყალის საკავშირო ჩემპიონატის მსაჯობაზე უკვე ბევრი დაიწერა როგორც ჩვენს გაზეთში, ისე ცენტრალურ პრესაში. ამ ტურნირზე სამსაჯოდ მიწვეული იყო თბილისელი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **ჯუმბერ დავლიანიძე,** რომელიც მახაჩყალიდან ჩამოსვლის შემდეგ რედაქციას ეწვია. გთავაზობთ მასთან საუბრის ჩანაწერს:

● **თქვენი აზრი ამ ჩემპიონატის მსაჯობაზე?**

— ამ თემაზე საუბარს საერთოდ ვერიდები, ვცდილობ კოლეგიალური ვიყო არბიტრებთან, მაგრამ ახლა გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მახაჩყალაში მსაჯთა ბრიგადამ ბევრი არსებითი შეცდომა დაუშვა. შეცდომაც არის და შეცდომაც. ყველაზე გულსატკენი ის გახლავთ, რომ რამდენიმე შეცდომა საბედისწერო გამოდგა.

● **ხომ არ დაგვისახელებთ რომელიმე მათგანს?**

— 57 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მახაჩყალელი ეფენდიევი და ბელაია ცერკოვის წარმომადგენელი ბაბახანიანი. აი, ამ უკანასკნელს ერთხელ არბიტრებმა ორი სრულფასოვანი ქულა დააკლეს და ერთხელ — ქულა. ფინალი ეფენდიევმა მოიგო ანგარიშით 6:4. არა და ობიექტურად ბაბახანიანმა გაიმარჯვა 7:6.

● **ავთანდილ გოგოლიშვილის ფინალურ ორთაბრძოლაზე რას იტყვით?**

— სამწუხაროდ ავთანდილსაც ოქროს მედალი თვალსა და ხელს შუა აართვეს.

● **უფრო დაწვრილებით ხომ არ მოგვითხრობთ ამ ორთაბრძოლის შესახებ?**

— გოგოლიშვილმა შეხვედრა აქტიურად ჩაატარა და ქულა აართვა მახაჩყალელ ე. ქაბრაილოვს. შემდგომში ორთავე მოჭიდავემ ორ-ორი გაფრთხილება მიიღო პასიურობისათვის, თუმცა სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გოგოლიშვილი არ პასიურობდა. ლოგიკის თანახმად უფრო აქტიური ქაბრაილოვი უნდა ყოფილიყო, რომელიც აგებდა ორთაბრძოლას, მაგრამ იგი არ იჩენდა ინიციატივას და არც გოგოლიშვილი იკლავდა თავს მაინც და მაინც. ისე კი ჩვენს მოჭიდავეს ერთი-ორჯერ შეეძლო ქულის აღება, მაგრამ როგორც ჩანს, ჩათვალა, გამარჯვება ისედაც განაღდებული მაქვსო.

● **და აი, სწორედ მაშინ, როცა ავთანდილი უკვე გამარჯვებული გვეგონა, მას მესამე გაფრთხილება მისცეს. როგორ გგონიათ, რისთვის?**

— გოგოლიშვილი მესამედ გააფრთხილეს მსაჯებმა, როცა შეხვედრის დამთავრებას 2 წამი აკლდა. მესამე გაფრთხილება დამარცხებას ნიშნავდა და ჩემპიონი ქაბრაილოვი გახდა.

● **ნუთუ ჩვენმა მწვრთნელებმა არ გააპროტესტეს ეს შედეგი?**

— პროტესტი მაშინვე შეიტანეს მსაჯთა კოლეგიაში, მით უფრო, რომ ასეთი რამ მსოფლიოს მსაჯობის პრაქტიკაში არასდროს მომხდარა. შეხვედრის დამთავრებამდე 2 წამით ადრე მოჭიდავეს საერთოდ არ ხსნიან. თუმცა ერთხელ მოხდა ასეთი კურიოზი. 1967 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე იური შახმურადოვი მსაჯების საფინალო სასტვენამდე 3 წამით ადრე მოხსნა ორთაბრძოლიდან და გამარჯვება ფრანგ დანი რობენს მიენიჭა. სხვათა შორის, ეს ინციდენტი მოხდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტის როჟე კულონის დაჟინებითი მოთხოვნით. შახმურადოვი მაშინ მწარედ დაიჩაგრა, ახლა კი იგი ერთ-ერთი აქტიური მომხრე იყო გოგოლიშვილის მოხსნისა. როგორც ჩანს, შახმურადოვი თავისი „რეკორდის" გაუმჯობესებას ცდილობდა და ეს მოახერხა კიდეც.

● **როგორი პასუხი მიიღეთ პროტესტზე?**

— კოლეგიამ დაადასტურა, რომ ყარაგანდელმა შუამავალმა მსაჯმა ა. ბიცეკმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. გვერდითი მსაჯების, ლენინგრადელი ვ. ვაინბერგერისა და ოდესელი ი. სიმენკოს საქციელი, რომლებიც უსიტყვოდ დაემორჩილენ შუამავალი არბიტრის უსაფუძვლო გადაწყვეტილებას, არასწორად შეფასდა და მსაჯთა ამ ბრიგადას ერთი წლით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, აი შედეგი კი უცვლელი დატოვეს.

● **კი მაგრამ ანალოგიური შეცდომა ს. ოზანესიან — ა. ატაევის ორთაბრძოლაში ხომ გამოსწორდა, თანაც მეორე დღეს?**

— საქმეც სწორედ ის გახლავთ, რომ ერთ შემთხვევაში შეცდომა გამოსწორდა და სამართალიც აღდგა (არბიტრთა ბრიგადას აქაც დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს), მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ მსაჯების დასჯით შემოიფარგლნენ. არადა, გოგოლიშვილ-ქაბრაილოვის ბრიგადის დასჯა, თავის თავად შეცდომის აღიარებას ნიშნავდა.

● **საწყენია, ძალზე საწყენი, როცა სპორტსმენი ასე უსამართლოდ იჩაგრება.**

— განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ყველაზე ძლიერია და ჩემპიონობას იმსახურებს. სხვათა შორის, ავთანდილმა ჯერ კიდევ ქვეჯგუფში დიდი უპირატესობით მოუგო (5:1) უფროს ქაბრაილოვს ლუკმანს — შარშანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორს და საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველ ნომერს. გოგოლიშვილი ამ ჩემპიონატში თავის წონაში (82 კგ) ნამდვილად უძლიერესი იყო.

● **ალბათ ეს სამი შემთხვევაც საკმარისია მსაჯობის შესაფასებლად.**

— კიდევ რამდენიმე მაგალითის მოტანა შემიძლია. მაგრამ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთ შეხვედრაზე შევაჩერებ. იმავე 82 კგ წონაში მესამე ადგილისთვის ორი მახაჩყალელი იბრძოდა, ზემოხსენებული ლ. ქაბრაილოვი და ა. გამიდოვი. 5 წუთის განმავლობაში მოჭიდავეებს არაფერი გაუკეთებიათ და შუამავალმა მსაჯმა, სავსებით სამართლიანად, ორივე მოხსნა მესამე გაფრთხილებით. უეცრად საქმეში ჩაერია მთავარი მსაჯი და მეტოქეებს ბრძოლა გააგრძელებია პირველ ქულამდე. ქაბრაილოვმა და გამიდოვმა კიდევ სამნახევარი წუთი იბრძოლეს (სულ 8 წუთი და 30 წამი) გაუფრთხილებლად, სანამ შეხვედრა არ დამთავრდა ერთ-ერთის გამარჯვებით. გოგოლიშვილს კი, როგორც გახსოვთ, 2 წამი არ აცალეს.

● **ამ ჩემპიონატზე ორ წონაში ოქროს მედლები არ გათამაშდა, მათ შორის მძიმე წონაში, სადაც დავით გობეჯიშვილი და ასლან ხადარცევი იბრძოდნენ. სწორი იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება.**

— ამ შემთხვევაში არბიტრები სწორად მოიქცნენ. მესამე წუთისთვის ორივე მეტოქეს ორ-ორი გაფრთხილება ჰქონდა. შეხვედრის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე მოჭიდავეები თავისთან მოიხმო საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ივან იარიგინმა და გააფრთხილა აქტიურად თუ არ იბრძოლებთ, უსათუოდ მოიხსნებითო.

● **კიდევ რამეს ხომ არ დაუმატებდით ნათქვამს?**

— მინდა ერთი დეტალიც გავიხსენო. მახაჩყალაში ჩვენ ჩავედით ავტობუსით, 10 საათიანი მგზავრობის შემდეგ, დაახლოებით საღამოს 7 საათისთვის. ქალაქში არავინ არ შეგვხვედრია, არავის არ დაუჯავშნავს სასტუმროში ადგილები. ღამის 12 საათზე დიდის გაჭირვებით მოათავსეს გუნდის წევრები სხვადასხვა სასტუმროში იმ პირობით, რომ მეორე დილით ყველას ერთად დააბინავებდნენ, მაგრამ პირობა შეასრულეს მხოლოდ დღის 3 საათისთვის. არა და 4 საათზე მონაწილეთა აწონვა იწყებოდა...

„სპორტლოტო"

მოსკოვში გუშინწინ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 26-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45"-დან: 3 (ბობსლეი), 9 (საგზაო ველოსიპედი ველორბოლა), 21 (ცურვა), 22 (წყალში ხტომა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 2 (ბიატლონი), 12 (ტანვარჯიში), 21 (ცურვა), 28 (ტყვიის სროლა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

თ. სხირტლაძე



გარდაიცვალა საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის თვალსაჩინო ორგანიზატორი თევდორე (თედო) ავთანდილის ძე სხირტლაძე — უაღრესად გულისხმიერი, საქმისათვის თავდადებული, კეთილსინდისიერი, მუყაითი და უანგარო ადამიანი.

შრომითი საქმიანობა ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ 14 წლისამ. იყო ზეინკალი, ხაბაზი, მუშაობდა ქალაქ შემახის მეტეოროლოგიურ სადგურში.

1935 წელს ბაქოს ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრა. თბილისში დაბრუნების შემდეგ მთელი თავისი ცოდნა და უნარი რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ორგანიზაციასა და განვითარებას მოახმარა. ერთხანს იგი მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა. მერე ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორად დაინიშნა.

თედო სხირტლაძე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელია და ამ უმაღლესი სასწავლებლის პირველი დირექტორი. მერე იგი წლების მანძილზე თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს.

1954 წელს თ. სხირტლაძე დანიშნეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგედ, პენსიაზე გასვლის შემდეგ კი ამ კათედრის უფროსი მასწავლებელი იყო. იგი უნარიანად ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სპორტული დაოსტატების საქმეს, ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძოდა ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად. თ. სხირტლაძე მთავარი ინიციატორი იყო ამ ინსტიტუტში ბრწყინვალე სპორტული ბაზის მშენებლობისა.

დიდი სამამულო ომის მონაწილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრავალგზის დეპუტატი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით, მრავალი მედლითა და საპატიო სიგელით.

ახალგაზრდა თაობის აღმზრდელის მართალი კაცისა და პრინციპული ხელმძღვანელის ნათელი ხსოვნა მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი მოღვაწეობის ყველაზე უტყუარი გვირგვინია.

საქართველოს სსრ სპორტსახკომი, რესპუბლიკის სპორტის ვეტერანთა საბჭო.

„სპორტპროგნოზი"

26-ე ტირაჟის შედეგები
(24-25 ივნისი)

1—1, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—1, 10—1, 11—1, 12—1, 13—2.

კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატის თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები.

(20-24 ივნისი)

1—1, 2—2, 3—2, 4—1, 5—1, 6—1, 7—2, 8—2, 9—1, 10—2, 11—2, 12—1, 13—2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

უიმბლდონი მზად არის

ჩოგბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურნირი, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ 1877 წლიდან, როგორც წესი, ივნისის ბოლო ორშაბათს იწყება. ამ ტრადიციას ორგანიზატორები არასდროს ღალატობენ. ასევე ტრადიციულად გათამაშებას „პირველ კორტზე ხსნის უიმბლდონის წინა ტურნირის ჩემპიონი. ასე რომ შვედი სტეფან ედბერგი ამჯერად კანადელ კრის პრაიდჰემს ეთამაშა.

როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ხდება მსოფლიოს თექვსმეტ უძლიერეს ჩოგბურთელთა განთესვა იმ ანგარიშით, რომ კენჭისყრამ ისინი პირველსავე წრეში არ შეახვედროს ერთმანეთს. საბჭოთა სპორტსმენთაგან განთესილნი არიან ნატალია ზვერევა (მეცხრე ადგილი) და ანდრეი ჩესნოკოვი (მეთოთხმეტე ადგილი). პასტარტო მატჩში ზვერევა ამერიკელ რონი რეისს შეხვდება, ჩესნოკოვი კი ავსტრალიელ ბრედ დროიტს.

ყველაზე ძნელი მეტოქე საბჭოთა ჩოგბურთელებიდან ანდრეი ჩერკასოვს ეყოლება. ეს გახლავთ 36 წლის ამერიკელი ჯიმი კონორსი. ლარისა სავჩენკო პირველ წრეში დონ ფაბერს (აშშ) შეხვდება, ალექსანდრე ვოლკოვი—ერიკ ელენს (გფრ), ანდრეს ვისანდი—სკოტ დევისს (აშშ).

შარშან ქალთა ტურნირი შტეფი გრაფმა (გფრ) მოიგო. უიმბლდონში ჩასვლის შემდეგ გრაფმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ფინალში განცდილი მარცხი აღარც ახსოვს და მზადაა იბრძოლოს უმაღლესი ტიტულისათვის. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, გრაფი მეოთხედფინალში უნდა ეთამაშოს ესპანელ არანტა სანჩესს, რომელმაც პირდაპირ გაამწარა იგი საფრანგეთის ღია ჩემპიონატში. გრაფს ყველაზე რეალურ კონკურენტად მიაჩნია 32 წლის მარტინა ნავრატილოვა (აშშ), რომელიც რვაჯერ იყო უიმბლდონის ჩემპიონი და გაბრიელა საბატინი (არგენტინა).

ვაჟთა შორის ფავორიტად სტეფან ედბერგის გარდა თვლიან უიმბლდონის ორგზის ჩემპიონს და შარშანდელი ტურნირის ფინალისტს ბორის ბეკერს (გფრ), მსოფლიოს პირველ ჩოგანს ივან ლენდლს (ჩეხოსლოვაკია), რომელსაც ამ ტურნირზე ტრადიციულად არ წყალობს ბედი და ორგზის ჩემპიონს ჯონ მაკენროუს (აშშ). როგორც ცნობილია, საფრანგეთის ღია ჩემპიონატი 17 წლის ამერიკელმა მაიკლ ჩანგმა მოიგო. მაგრამ იგი ბალახის კორტების სპეციალისტად არ ითვლება და ამიტომაც ფავორიტთა შორის არ დასახელებულა.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
[illegible] — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
[illegible] — 93-97-58,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-56,
„[illegible]" — 93-97-26, „[illegible]" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
68465

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible]
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10410